



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 81  
 20/11/2017

81-07-4-201711201904



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №81  
 2017 წლის 20 ნოემბერი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის  
 შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** ახალარჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხების უზრუნველყოფისა და საკრებულოს ფრაქციათა შექმნის შესახებ წინადადებების (დასკვნების) განხილვისა და მომზადების მიზნით არჩეულ იქნეს სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლელა ჩახვაძე;
2. ცისანა ურუშაძე;
3. დავით ჩხარტიშვილი.

**მუხლი 2.** სამანდატო დროებითი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ქანთარია



საკრებულოს სხდომის უზუცესი წევრი  
 საკრებულოს წევრები